დადგენილება:**დ-81. 8123305001**
თარიღი:**01/11/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2021წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016508) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები. ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინონ საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი'' 55^{2}, 55^{6}, 64^{2}, 77^{1}, 77^{2}, 82^{5}, 103-ე, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^{4}, 134^{1}, 135, 135^{1} , 146^{1}, 148-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 150-ე, 150^{1}, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^{2}, 152^{8}, 153^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^{4}, 156^{1}, 158^{5} მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159-ე, 159^{1}, 166^{2},172^{8},172^{9} მუხლებით, საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 130-138-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.''.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com